საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/242

ქ. ბათუმი 19 ოქტომბერი, 2022წ.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 25-ე მუხლების, ,,ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ნოემბრის №133 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნები **2022 წლის 14 ნოემბრიდან** 4 წლის ვადით უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.
2. ბსუ-ს აკადემიურ **საბჭოში არჩეულ იქნეს სულ 10 წევრი,** ერთი წარმომადგენელი **ბსუ-ს თითოეული ფაკულტეტიდან** (1. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი; 3. ტურიზმის ფაკულტეტი; 4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი; 6. ტექნოლოგიური ფაკულტეტი; 7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და **ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან** (1. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი; 2. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი; 3. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი).
3. **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდეს:**
   ა) ბსუ-ს **ფაკულტეტებზე** - **<u>2022 წლის 3 ნოემბერს</u>** (კენჭისყრა დაიწყოს 10:00 საათზე და დამთავრდეს 17:00 საათზე);
   ბ) დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი **ინსტიტუტებში** - **<u>2022 წლის 4 ნოემბერს</u>** (კენჭისყრა დაიწყოს 10:00 საათზე და დამთავრდეს 17:00 საათზე).
4. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან შესაძლებელია არჩეული იქნეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან - ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.
5. **<u>კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს</u>** ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ №35/32, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N13) **2022 წლის 21 ოქტომბრიდან – 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით,** უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.
6. **კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:**
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) <u>ცნობა სამუშაო ადგილიდან</u> (ფაკულტეტიდან ასარჩევმა აკადემიური პერსონალმა - ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ასარჩევმა სამეცნიერო პერსონალმა - ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის დაკავების შესახებ).

7. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

8. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტის დირექტორებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების განსაზღვრა და 2022 წლის **31 ოქტომბრის** ჩათვლით ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში.

9. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების და ინსტიტუტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, აკადემიური საბჭოს სამდივნოს და საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**